



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების აკრედიტაციის
ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 09

10 02 2010 წ.

ქ. თბილისი

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს
საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით გათვალისწინებული
ვადების დადგენის შესახებ**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №222 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ადგილების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 10 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით.
2. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 16 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით.

3. მობილობით წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 23 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით.
4. დაევალოს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის კანცელარიასა და საინფორმაციო და მობილობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯაროდ განთავსება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის შენობაში და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.nea.ge.
5. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ცენტრის დირექტორის მოადგილეს, ნ. ჭილაძეს.

დირექტორი

ე. ჯ.



დავით კერესელიძე